ბათუმის
ნავიგაციის
უნივერსიტეტი

უზრუნველყავი შენი მომავალი, ისწავლე ჩვენთან!

სტუდენტის გზამკვლევი

2026

რექტორის მისალმება

პროფესიის არჩევა რთული საქმეა. ძნელია, წინასწარ განსაზღვრო რა არის შენი ცხოვრების მიზანი, სად და როგორ შეძლებ თვითრეალიზაციას, მისწრაფებების და ვალდებულებების თანხვედრას, არის თუ არა შენი ადგილი ამა თუ იმ პროფესიაში. კითხვა ბევრია და წინასწარ მათზე პასუხი არ არსებობს, თუმცა, გადაწყვეტილების მიღებისას ერთში ზუსტად უნდა იყო დარწმუნებული - უნდა გიყვარდეს ის საქმე, რომელსაც ირჩევ.

მე შემიძლია გულწრფელად გითხრათ, რატომ ავირჩიე მეზღვაურობა და რატომ არის ის ჩემი ცხოვრების უცვლელი პროფესიული სიყვარულის საგანი - მე თავისუფლება მინდოდა. ვერ ვეგუებოდი აკრძალვასა და საზღვრებს, სიმტკიცისა და სიმამაცის გამოსავლენად მჭირდებოდა სარბიელი. საკუთარი თავის გამოსაცდელად მინდოდა მეტი, ვიდრე ის გარემო იძლეოდა, რომელშიც ჩემი თაობა დაიბადა.

მე მინდოდა მენახა სამყარო ისეთი, როგორიც არის, მემოგზაურა, გავცნობოდი ქვეყნებს და კულტურებს, გადამესერა ზღვები და ოკეანეები. მეზღვაურობა ჩემთვის იყო თავისუფლების ბილეთი.

მე შემიძლია გულწრფელად გითხრათ, რატომ ავირჩიე მეზღვაურობა და რატომ არის ის ჩემი ცხოვრების უცვლელი პროფესიული სიყვარულის საგანი - მე თავისუფლება მინდოდა. ვერ ვეგუებოდი აკრძალვასა და საზღვრებს, სიმტკიცისა და სიმამაცის გამოსავლენად მჭირდებოდა სარბიელი. საკუთარი თავის გამოსაცდელად მინდოდა მეტი, ვიდრე ის გარემო იძლეოდა, რომელშიც ჩემი თაობა დაიბადა.

და, რატომ უნდა აირჩიოთ ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი, თუ მეზღვაურობა გადაწყვიტეთ? იმიტომ, რომ ის ჩემი პროფესიისადმი სიყვარულის და ერთგულების გამო დავაარსე. ეს საქმე იმიტომ წამოვიწყე, რომ ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას ბევრი მაღალკვალიფიციური საზღვაო საქმის პროფესიონალი სჭირდება. თქვენ სჭირდებით საკუთარი ოჯახების კეთილდღეობას. თქვენ მონაწილეობთ ქვეყნის ეკონომიკურად გაძლიერებაში და ეს საზოგადო საქმეა.

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი საერთაშორისო სტანდარტების და სერტიფიცირებული პროგრამების მქონე სასწავლო ბაზაა, რომელსაც აქვს უნივერსალური პირობები თქვენი მაღალი პროფესიული ჩვევების და უნარების ჩამოსაყალიბებლად. თქვენი პედაგოგები უმაღლესი კლასის სპეციალისტები, შორეული ნაოსნობის მოქმედი კაპიტნები და მექანიკოსები არიან. ჩვენი გუნდი შედგება ადამიანებისგან, რომელთაც უყვართ საკუთარი პროფესია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საზღვაო სფეროს, სატრანსპორტო ლოგისტიკის და ტვირთების მართვის განვითარება საქართველოს მომავლისთვისაა აუცილებელი და რომ თქვენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მომავალი ხართ!

პატივისცემით,

პარმენ ხვდელიძე

რექტორი | პროფესორი | შორეული ნაოსნობის კაპიტანი

სარჩევი

2 ბნუ-ს შესახებ
3 ბნუ-ს მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული მიზნები
5 აკადემიური/ადმინისტრაციული რეგისტრაცია
5 სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები
7 სტუდენტის სტატუსი
9 სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა
10 ბაკალავრიატი
11 მაგისტრატურა
12 სასწავლო კურსების არჩევა
13 სწავლის საფასური და ფინანსური მხარდაჭერა
15 კრედიტების სისტემა
16 სტუდენტის შეფასება
17 გამოცდები, გამოცდაზე ქცევის წესები
19 მობილობა
20 სამაგისტრო ნაშრომის დაცვა
21 პლაგიატი
22 გაცვლითი პროგრამები
24 სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია
25 ბიბლიოთეკა
28 სტუდენტთა / პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა
28 სტუდენტური კლუბები
29 კარიერული განვითარება
30 აკადემიური კალენდარი
32 ჰიმნი
33 საკონტაქტო ინფორმაცია

ვის როდის მივმართო?

აკადემიური/ადმინისტრაციული რეგისტრაცია

სტუდენტების რეგისტრაციის, გამოცდების, შეფასებისა და მონიტორინგის სამსახური

სასწავლო კურსების არჩევა

სტუდენტების რეგისტრაციის, გამოცდების, შეფასებისა და მონიტორინგის სამსახური

სტუდენტის სტატუსი, მობილობა

დეკანატები, პროფესიული განათლების დეპარტამენტი

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე სწავლა

დეკანატები

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა

პროფესიული განათლების დეპარტამენტი

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა, დიპლომი

ბიზნესისა და ლოგისტიკის ფაკულტეტის დეკანატი

ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ

კანცელარია

სტუდენტური კონფერენცია

კვლევების ცენტრი

საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

წიგნები/ელექტრონული წიგნები, ელექტრონული ბაზები

ბიბლიოთეკა

სტუდენტური პროექტები და აქტივობები

სტუდენტთა / პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა

კარიერული განვითარება, პრაქტიკა, დასაქმება
სტუდენტური კლუბები და კურიკულუმ გარე აქტივობები

სტუდენტური სერვისების სამსახური

ბნუ-ს შესახებ

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი, პირველი კერძო საზღვაო სასწავლებელია საქართველოში, რომელიც 1999 წელს, შორეული ნაოსნობის კაპიტანმა, პარმენ ხვედელიძემ დაარსა და დღემდე ემსახურება ქართული საზღვაო განათლების ხარისხის ამაღლებასა და საერთაშორისო საზღვაო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნისათვის საკუთარი და უნიკალური ადგილის დამკვიდრების საქმეს.

ბნუ წარმოადგენს კონკურენტუნარიან, მაღალტექნოლოგიურ, საერთაშორისო აღიარების მქონე, ცნობად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი, საერთაშორისო და ეროვნულ დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული განათლების მიღებასა და დარგში ახალი ცოდნის შექმნას.

ამჟამად, ბნუ-ს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს წარმოადგენს საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტი, ბიზნესისა და ლოგისტიკის ფაკულტეტი, პროფესიული განათლების დეპარტამენტი, და ასევე, საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი, რომელიც სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების და უკვე მოქმედი მეზღვაურების მომზადება-გადამზადებას ემსახურება.

ჩვენი უპირატესობაა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღალკვალიფიციური აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალი.

ჩვენი პრიორიტეტია სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, სადაც თითოეული სტუდენტი ახდენს თავისი პოტენციალის რეალიზებას.

ბნუ მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუციებთან, დარგობრივ ორგანიზაციებთან, კვლევით ინსტიტუტებთან და გემთმფლობელ კომპანიებთან. ინსტიტუტი 22 წელია ISO ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სერთიფიკატის მფლობელია.

მისია

ბნუ-ს მისიაა უმაღლესი (საბაკალავრო, სამაგისტრო), პროფესიული და სასერტიფიკატო აქტუალური პროგრამებისა და კვლევითი პროექტების განხორციელებით უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება საზღვაო ტრანსპორტის, ლოგისტიკის, ტექნოლოგიების, მომსახურების, ადმინისტრირების, მართვის და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სხვა სფეროებში, რაც შექმნის ცოდნისა და უნარების მუდმივად სრულყოფა-განახლების, პიროვნული და პროფესიული განვითარების, ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით და განათლების ბაზარზე კონკურენტუნარიანობისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობას.

ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებით, ინოვაციების გაზიარებით, კვლევების მხარდაჭერით, სწავლის სუბიექტებზე ორიენტირებული გარემოს შექმნით, ბნუ მიმართულია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის მხარდაჭერაზე, საზოგადოების განვითარების ხელშეწყობაზე და სოციალურ პასუხისმგებლობაზე.

ხედვა

ბნუ-ს ხედვა ემყარება სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ ბნუ დარჩეს დინამიურ და მომავალზე ორიენტირებულ ინსტიტუციად და დარგობრივ სივრცეში აღიარებულ ბრენდად, რომელიც განაპირობებს პოზიტიურ ცვლილებებს, მხარს უჭერს ინსტიტუციურ მდგრადობას, ოპერატიულ ეფექტურობას და სწავლა-სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას.

ღირებულებები

- მრავალფეროვნება, თანასწორობა და ინკლუზია;
- ერთიანობა, არჩევანის, გადაწყვეტილების მიღების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება;
- პროფესიონალიზმი, აკადემიური თავისუფლება, პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა;
- სოციალური პასუხისმგებლობა;
- სინოვაციებისადმი მზაობა.

სტრატეგიული მიზნები

მისიისა და ხედვის საფუძველზე, უნივერსიტეტის წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალისწინებით, SWOT ანალიზის და საუნივერსიტეტო საზოგადოების ფართო ჩართულობით, უნივერსიტეტმა გამოკვეთა მომავალი შვიდი წლის მანძილზე თავისი საქმიანობის ხუთი სტრატეგიული მიზანი, კერძოდ:

- **მიზანი 1.** ინსტიტუციური მდგრადობა და მუშაობის ეფექტიანობა
- **მიზანი 2.** აკადემიური პროცესის და პროგრამული მიმართულების რეგულარული განვითარება
- **მიზანი 3.** კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის განვითარება
- **მიზანი 4.** ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის განვითარება
- **მიზანი 5.** სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების / მსმენელების განვითარებისა და თვითრეალიზების ხელშეწყობა
- **მიზანი 6.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

აკადემიური/ადმინისტრაციული რეგისტრაცია

აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია სავალდებულოა ბნუ-ს ყველა სტუდენტისთვის. რეგისტრაცია ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე ხორციელდება.

ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა გულისხმობს, სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადახდას, მასთან გაფორმებული ხელშეკრულების გრაფიკის შესაბამისად. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გარეშე სტუდენტი აკადემიურ რეგისტრაციას ვერ გაივლის.

აკადემიური რეგისტრაციის დროს სტუდენტი ირჩევს მისთვის სასურველ სასწავლო კურსებს ბნუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პორტალის მეშვეობით: www.studentsbntu.edu.ge

რეგისტრაციასთან დაკავშირებით ინფორმაციისა და კონსულტაციისთვის მიმართეთ **სტუდენტთა რეგისტრაციის, გამოცდების, შეფასებისა და მონიტორინგის სამსახურს.**
A კორპუსის II სართული, ოთახი N218.

სტუდენტთა უფლებები/ვალდებულებები

- სტუდენტთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დასაცავად ბნუ-ში დანერგილია შეფასების გამჭვირვალე და სამართლიანი პრინციპები. საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსებში დეტალურად არის აღწერილი 100 ქულიანი შეფასების სისტემა, თუ როგორ ხდება სტუდენტის მიერ ათვისებული ცოდნის შემოწმება/გამოკითხვა და რა კრიტერიუმებით ფასდება იგი. სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსებში, ასევე გაწერილია შეფასებების მინიმალური კომპეტენციების ზღვრები.
- ბნუ-ს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით, „აკადემიური ეთიკის კოდექსი" რეგულირდება სტუდენტის ვალდებულებები და უფლებამოსილებები. სტუდენტის მხრიდან ნებისმიერი ქმედება თუ საქციელი, მათ შორის აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არღვევს მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს, შესაძლოა გახდეს ეთიკის კომისიის განხილვის საგანი. პროცესის ნებისმიერი ეტაპი, რომელიც ეხება სტუდენტის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, არის სამართლიანი, გამჭვირვალე და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.
- სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, ბნუ-ს სტუდენტს უფლება აქვს მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ნებისმიერი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელს და მათგან მიიღოს რეაგირება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით კორპორატიული ელ-ფოსტის საშუალებით, რომლის შექმნასაც უზრუვნელყოფს უნივერსიტეტი სტუდენტის სტატუსის მოპოვებისთანავე. ბნუ უზრუნველყოფს სტუდენტისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოძიებას, დამუშავებას და გაცემას კანონმდებლობის შესაბამისად, მოქმედი საქმისწარმოების ერთიანი წესისა და პროცედურების დაცვით.

- ბნუ-ს დანერგილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის პირობები და აძლევს პროფესიული თუ აკადემიური განათლების მიღების შესაძლებლობას.
- ბნუ-ს საქმიანობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია საჯაროა სტუდენტებისთვის და ხელმისაწვდომია ბნუ-ს ვებგვერდზე (**www.bnu.edu.ge**).

სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია:

- შეასრულოს ბნუ–სთან დადებული ხელშეკრულების პირობები და მოთხოვნები
- წინამდებარე პუნქტი არ ვრცელდება სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პროგრამებზე, ყველა სხვა შემთხვევაში - ბნუ–სთან დადებული ხელშეკრულებით დადგენილი წესით (ვადებში და ოდენობით) გადაიხადოს ბნუ–ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან ბნუ–ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და დოკუმენტურად დადასტურებულ გრანტს/დაფინანსებას შორის არსებული სხვაობა (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში), შეასრულოს ყველა ფინანსური ვალდებულება;
- შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები, ისწავლოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კურსები/პროგრამის კომპონენტები/მოდულები და სტუდენტის შემთხვევაში, ის სასწავლო კურსი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია;
- არ ჩაიდინოს ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ბნუ-ში მოქმედ ქცევის წესებს, ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსს;
- გაუფრთხილდეს ბნუ–ს ტრადიციებს და რეპუტაციას;
- იცოდეს ბნუ-ს მისია, ბნუ-ში მოქმედი ძირითადი მარეგულირებელი დებულებები/წესები, სასწავლო პროცესების ორგანიზების, რეგულირების და კონტროლის სისტემა;
- გაეცნოს ბნუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ (საჯარო ინფორმირება) და ბნუ-ს ოფიციალური ელ.ფოსტით გამოგზავნილ (პირადი ინფორმირება) ინფორმაციას, შეასრულოს შესაბამისი მოთხოვნები.

სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პასუხისმგებლობას წარმოადგენს:

- ბნუ-სთან დადებული ხელშეკრულების პირობების, შინაგანაწესი, სასწავლო პროცესის და სხვა მარეგულირებელი წესების სრული დაცვა;
- ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსის, ქცევის წესების, კანონიერების, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპების, არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.
- გაუფრთხილდეს ბნუ–ს ტრადიციებს და რეპუტაციას;
- იცოდეს ბნუ-ს მისია, ბნუ-ში მოქმედი ძირითადი მარეგულირებელი დებულებები/წესები, სასწავლო პროცესების ორგანიზების, რეგულირების და კონტროლის სისტემა;
- გაეცნოს ბნუ-ს ვებგვერდზე განთავსებულ (საჯარო ინფორმირება) და ბნუ-ს ოფიციალური ელ.ფოსტით გამოგზავნილ (პირადი ინფორმირება) ინფორმაციას, შეასრულოს შესაბამისი მოთხოვნები.

სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის და მსმენელის სტატუსი

სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერება გულისხმობს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბნუ–ს და სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით განთავისუფლებას სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში - არაუმეტეს ჯამში 5 წლის ვადით, პროფესიული პროგრამების შემთხვევაში - არაუმეტეს 5 წლის ვადით რის შემდეგ პირს შეუწყდება შესაბამისად სტუდენტის / პროფესიული სტუდენტის სტატუსი; ხოლო პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელის შემთხვევაში, მსმენელის სტატუსის შეჩერების ვადა განისაზღვრება შესაბამისი პროცედურების მომწესრიგებელი აქტით, რის შემდეგ პირს შეუწყდება მსმენელის სტატუსი.
ბნუ-ში **სტუდენტის სტატუსის შეჩერების** საფუძველია:

- ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;
- პირადი განცხადება;
- საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება;
- ფინანსური დავალიანება, ფინანსური ვალდებულებების/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა;
- უცხო ქვეყანაში საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა);
- სამართლებრივი დევნის დაწყება ან სასამართლოს განაჩენის ძალაში შესვლა;
- მობილობის ფარგლებში სხვა სასწავლებელში გადასვლის შესახებ განცხადების დარეგისტრირება;
- პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების 50%-ზე ნაკლების აუთვისებლობა პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო გამოცდაზე/განმეორებით გამოცდაზე არგამოცხადება ან არადამაკმაყოფილებელი შეფასება.

სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა:

- სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენა ხდება არაუგვიანეს სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის განმავლობაში. ფინანსური დავალიანების, ფინანსური ვალდებულებების/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტატუსის აღდგენისთვის აუცილებელია დარღვევის აღმოფხვრა
- სტატუსის აღდგენის მიზნით სწავლის სუბიექტმა განცხადებით უნდა მიმართოს ბნუ-ს (პროგრამის განმახორ-ციელებელი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს). განცხადების წარდგენა უნდა მოხდეს სემესტრის დაწყებამდე (ადმინისტრაციული რეგისტაციის ვადის დასრულებამდე). სტატუსშეჩერებულ სწავლის სუბიექტს, რომელმაც საპატიო მიზეზის გამო ვერ შეძლო დადგენილი წესის დაცვა, შეუძლია მიმართოს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს განცხა-დებით, მიუთითოს მოქმედი წესის დარღვევის მიზეზი (განცხადებას უნდა დაერთოს მითითებული გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი) და ითხოვოს დადგენილისგან განსხვავებულ ვადაში სტატუსის აღდგენა, ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაციის გავლა და სწავლის გაგრძელება. განცხადება და თა-ნდართული დოკუმენტები უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან გაიგზავნოს ბნუ-ს ოფიციალურ ელ.ფოსტაზე (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე).

- ყველა განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს განიხილავენ რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. გადაწყვეტილება მიიღება განცხადებაში მითითებული გარემოებების, თანდართული დოკუმენტების და განცხადების წარდგენის თარიღის გათვალისწინებით. დადებითი გადწყვეტილება შეიძლება იყოს მიღებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სემესტრის/სწავლების ციკლის/დაწყებული სწავლების დარჩენილ ვადაში შესაძლებელია (მათ შორის, ინდივიდუალური განრიგით) პროგრამის კომპონენტების შესწავლა და დადგენილი მოთხოვნების შესრულება. გადაწყვეტილება სწავლის სუბიექტს ეცნობა ამ შინაგანაწესით განცხადებების განხილვისთვის დადგენილ ვადაში;

სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენა ფორმდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის ბრძანებით, მონაცემები შეიტანება განათლების მართვის საინფორმაიო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბნუ-ში **სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის** საფუძველია:

- სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლა;
- პირადი განცხადება;
- სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება;
- საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება;
- საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;
- სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება (იხილეთ ბნუ-ს შინაგანაწესი)
- კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც გამოტანილია ისეთი ქმედების ჩადენისთვის, რომელიც წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს;
- პირის გარდაცვალება, კანონმდებლობის შესაბამისად პირის ქმედუუნაროდ ცნობა, მოქმედი კანონმდებლობით სხვა გათვალისწინებული შემთხვევები;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

ბნუ-ში **პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის** საფუძველია:

- სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლა;
- პირადი განცხადება;
- სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება;
- საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება;
- პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების 50%-ის ან მეტის აუთვისებლობა პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში;
- პროფესიული სტუდენტის მიერ არასაპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის მიუღებლობა, ან განმეორებით შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებლობა, მოქმედი კანონმდებლობით სხვა გათვალისწინებული შემთხვევები;
- პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება;
- კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც გამოტანილია ისეთი ქმედების ჩადენისთვის, რომელიც წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს;
- პირის გარდაცვალება;
- კანონმდებლობის შესაბამისად პირის ქმედუუნაროდ ცნობა.

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა

ბნუ-ში არსებობს სტრუქტურული ერთეული სტუდენტების რეგისტრაციის, გამოცდების, შეფასებისა და მონიტორინგის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს შემდეგ აქტივობებს:

- „უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში“ და „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში“ ინფორმაციის შეტანა და დაწესებულების შიდა ბაზაში (www.studentsbntu.edu.ge) სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაცია;სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის კონტროლი;
- მობილობასთან დაკავშირებული პროცესების ტექნიკური უზრუნველყოფა;
- სტუდენტთა შეფასებისათვის საგამოცდო საკითხების ბაზის შექმნა;
- საგამოცდო პროცესის ჩატარების ორგანიზების უზრუნველყოფა ყველა უსაფრთხოების ნორმების დაცვით;
- შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების/პროექტების და პრაქტიკის/პროფესიული პრაქტიკის ანგარიშის დაცვების და დამატებითი დაცვების (საჭიროების შემთხვევაში) ჩატარების განრიგის, გამოცდების და დაცვების ჩატარებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის ბნუ-ს საინფორმაციო დაფაზე და/ან ვებგვერდზე განთავსების კონტროლი;
- შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების მიმდინარეობის მონიტორინგი და ანალიზი;
- უნივერისტეტის შიდა ბაზაში (www.studentsbntu.edu.ge) შეფასებების დროულად ასახვის მონიტორინგი;
- შიდა ბაზით შეუფერხებელი სარგებლობის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კონტროლი.

გარდა ამისა, ბნუ-ში შემუშავებულია და დადგენილი წესით დამტკიცებულია დოკუმენტი "გამოცდების ჩატარების წესი", რომელშიც დეტალურად არის გაწერილი გამოცდის ჩატარების, შეფასების, გასაჩივრების პროცედურები. აღნიშნული წესი საჯაროა და განთავსებულია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე. გარდა ამისა, სტუდენტების უტარდებათ საინფორმაციო/საორიენტაციო შეხვედრები აღნიშნული პროცედურების შესახებ. ბნუ-ში არსებობს საგამოცდო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით, კამერებით და რომელიც უზრუნველყოფს გადაწერის და ან/ან სხვა ფაქტების თავიდან აცილებას.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ყველა სტუდენტს გახსნილი აქვს **კორპორატიული ელ-ფოსტები**, რომლითაც ხდება სტუდენტის, ადმინისტრაციის და აკადემიური პერსონალის კომუნიკაცია საჭიროებისამებრ.

სტუდენტები ჩართული არიან სასწავლო პროცესის და უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცესში, რაც დასტურდება შესაბამისი ანალიზებით და დოკუმენტით ,,მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა“. აგრეთვე აღნიშნულ საკითხებზე სტუდენტებთან კონკრეტული საჭიროების შემთხვევაში ტარდება შეხვედრები ფოკუსჯგუფებში, არსებითი საკითხის გადასაწყვეტად.

ბაკალავრიატი

რეგისტრაციის პროცედურა და წარსადგენი დოკუმენტები:

•სარეგისტრაციო განცხადება (შეივსება საბუთების ჩაბარების დროს);
•პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის დედანი);
•4 ფოტოსურათი 3x4 და ელ.ვერსია (CD/DVD დისკზე);
•სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);
•ბაკალავრიატი - სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და განათლების აღიარების დოკუმენტი (ასლები);
•უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - ასევე წარსადგენია განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და განათლების აღიარების დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
•ინგლისური ენის პროგრამაზე მიღების წინაპირობით განსაზღვრულ დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი/სხვა;
•საზღვაო დარგის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში - სამედიცინო შემოწმების ფორმა #100/ა (დედანი), გაცემული უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ.
•ინგლისურენოვანი პროგრამების შემთხვევაში, აუცილებელია ინგლისურ ენაში 50%-იანი ბარიერის გადალახვა.

ბნუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დასაშვებია:

•უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
•საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
•უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
•საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არა ნაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქყეყანში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მაგისტრატურა

რეგისტრაციის პროცედურა და წარსადგენი დოკუმენტები:

•სარეგისტრაციო განცხადება (შეივსება საბუთების ჩაბარების დროს);
•პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე -პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის დედანი);
• 4 ფოტოსურათი 3x4 და ელ.ვერსია (CD/DVD დისკზე);
•სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);
•არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი) და დიპლომის დანართი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლები). მაგისტრანტობის კანდიდატისგან (საქართველოს მოქალაქეები) დამოუკიდებელი ობიექტური გარემოების გამო დიპლომის და დიპლომის დანართის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში წარსადგენია შესაბამისი უსდ-ის მიერ გაცემული და სათანადოდ დამოწმებული ცნობა მინიჭებული კვალიფიკაციის, პროგრამის კომპონენტების, მიღებული კრედიტების და შეფასებების მითითებით;
•უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - ასევე წარსადგენია განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და განათლების აღიარების დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
•ინგლისური ენის პროგრამაზე მიღების წინაპირობით განსაზღვრულ დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი/სხვ.

მაგისტრანტობის კანდიდატთა საყურადღებოდ!

•მაგისტრანტობის კანდიდატს შეუძლია გაეცნოს ლოგისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობას, გაესაუბროს პროგრამის ხელმძღვანელს, მიიღოს ან დააზუსტოს ინფორმაცია პროგრამის შესახებ, მიიღოს რეკომენდაციები და სხვ. (იხ. „საკონტაქტო ინფორმაცია“);
•მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვა ბნუ-ში შიდა გამოცდებზე გასვლის უფლება, მაგრამ ბნუ-ს მიერ დადგენილ ვადებში არ მიმართა ბნუ-ს, არ წარადგინა სავალდებულო დოკუმენტები და არ გაიარა რეგისტრაცია, კარგავს შიდა გამოცდებზე გასვლის, შესაბამისად, ბნუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას;
•მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია დაიცვას გამოცდაზე ქცევის წესები (იხ. „ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტში შიდა გამოცდაზე ქცევის და შეფასების წესი“);
•შიდა გამოცდები ტარდება სპეციალობაში (იხ. „ლოგისტიკის საფუძვლები - საგამოცდო საკითხების ნიმუშები“) და ინგლისურ ენაში. ინგლისურ ენაში გამოცდა არ უტარდება მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელსაც არანაკლებ B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნის ფლობა უდასტურდება:

საერთაშორისო სერტიფიკატ(ებ)ით (მაგ., ტოეფელი (TOEFL PBT), ტოეფელი (TOEFL IBT), ბრიტანეთის საბჭოს და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS), ბრიტანეთის საბჭოს და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam), კემბრიჯის უნივერსიტეტის (Cambridge ESOL Examination) და/ან სხვ.), შესაბამისი უფლებამოსილების მქონე საერთაშორისო/უცხოეთის/საქართველოში მოქმედი ორგანიზაციის/წარმომადგენლობის მიერ გაცემული დოკუმენტით, რომლითაც დგინდება/ დასტურდება შესაბამის დონეზე ენის ფლობა - ამ შემთხვევაში უცხო ენის გამოცდაში ენიჭება მაქსიმალური ქულა;

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომის დანართით ან შესაბამისი უფლებამოსილი ორგანიზაციის/სხვ. მიერ გაცემული ცნობით/სხვ., რომელშიც მითითებულია ფლობის დონე და შეფასება - ამ შემთხვევაში უცხო ენის გამოცდაში ენიჭება დანართში/ცნობაში/სხვ. მითითებული შეფასების პროპორციული ქულა.
- ბნუ-ში გამოცდისთვის დადგენილი დროის ლიმიტი შეადგენს 03 (სამ) საათს;
- მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელიც არ ეთანხმება გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, შეუძლია ბნუ-ს მიერ დადგენილ ვადაში გაასაჩივროს გამოცდის შედეგი (მიღებული შეფასება);
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპისა და ბნუ-ს შიდა გამოცდ(ებ)ის შედეგად გამოვლინდება ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც უფლებას მოიპოვებს სწავლა განაგრძოს ბნუ-ს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრატურაში (ბოლო ვაკანტურ ადგილზე გასული რამდენიმე თანაბარქულიანი მაგისტრანტობის კანდიდატების არსებობის შემთხვევაში - პირი, რომელსაც საერთო სამაგისტრო გამოცდაში აქვს მიღებული მეტი ქულა);
- ბნუ-ში სტუდენტის (მაგისტრანტის) ვალდებულებებისა და უფლებების, სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის და სხვ. საკითხები რეგულირდება შინაგანაწესით, რომლის გაცნობა და მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა.

სასწავლო კურსების არჩევა

აკადემიური რეგისტრაციის დროს სტუდენტი რეგისტრირდება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო კომპონენტებზე. ამავე დროს ის თავად ირჩევს მისთვის სასურველ არჩევით სასწავლო კურსებს; საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში - დამატებითი პროგრამის კომპონენტებზე (თუ საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს დამატებით პროგრამას).

აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში, ასევე სემესტრის დაწყებიდან მაქსიმუმ 01 კვირის ვადაში შესაძლებელია არჩევით სასწავლო კურს(ებ)ზე რეგისტრაციის გაუქმება და სხვა სასწავლო კურს(ებ)ის არჩევა.

სტუდენტმა შესაძლოა ვერ განახორციელოს არჩევანის შეცვლა შემდეგ შემთხვევებში: არჩეული სასწავლო კურსის წინაპირობების ვერ დაკმაყოფილება; თუ წელიწადში დატვირთვა გახდება 75 კრედიტზე მეტი; ამ სასწავლო კურსზე ყველა არსებულ სასწავლო ჯგუფში ვაკანტური ადგილების არარსებობა.

სწავლის საფასური

ბნუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების წლიური სწავლის საფასური:

საბაკალავრო პროგრამები

საზღვაო ნავიგაცია	**6,150 ლარი**
საზღვაო ნავიგაცია	**6,150 ლარი**
გემის მექანიკა	**6,150 ლარი**
გემის მექანიკა ინგლისურენოვანი	**6,150 ლარი**
ლოგისტიკა	**2,990ლარი**

სამაგისტრო პროგრამა

სატრანსპორტო ლოგისტიკა	**2,990ლარი**

ფინანსური მხარდაჭერა

- სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გადაიხადონ წლიური საფასური 6 ეტაპად წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, რომელიც მის ელექტრონულ პორტალზეა ასახული; გრაფიკის მიხედვით გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება გამოცდებზე. სწავლების საფასურის გადავადების მოთხოვნით სტუდენტს შეუძლია მიმართოს რექტორს განცხადებით კანცელარიაში გამოცდებამდე არაუგვიანეს ორი კვირისა. ერთი კვირის ვადაში მოხდება მისი საკითხის განხილვა და რექტორის გადაწყვეტილება ეცნობება სტუდენტს კორპორატიულ ფოსტაზე.
- იმ შემთხვევაში, თუ ერთი ოჯახიდან სასწავლებელში სწავლობს ორი ან მეტი მოსწავლე, თითოეულს ეძლევა სწავლის საფასურზე 5%-იანი ფასდაკლება;
- შპს "მახინჯაურის საზღვაო სკოლა" კურსდამთავრებულ სტუდენტებს, რომლებსაც მიღებული აქვს საშუალო ზოგადი განათლების ან/და პროფესიული განათლების ატესტატი, საფასური უმცირდებათ 10%-ით;
- სწავლის საფასური 10%-ით უმცირდებათ სტუდენტებს, რომლებმაც დაამთავრეს ბნუ-ს უმაღლესი განათლების I საფეხური (ბაკალავრი) და სწავლას აგრძელებენ ბნუ-ს უმაღლესი განათლების II საფეხურზე (მაგისტრატურა);
- ბნუ-ს უმაღლესი განათლების I საფეხურზე (საზღვაო ნაგიაგაციისა და გემის მექანიკის საგანმანათლებლო პროგრამებზე) ჩარიცხულ მდედრობითი სქესის სტუდენტებს სწავლის ღირებულება უფინანსდებათ 100%-ით;
- სტუდენტებს, რომლებსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების საგანმანათლებლო დაწესებულებების პირველ პრიორიტეტად განსაზღვრული ჰქონდათ ბნუ, სწავლის საფასური უმცირდებათ 10%-ით.

სტიპენდია გაიცემა შემდეგ შემთხვევებში:

- სტუდენტი - ერთი სემესტრის განმავლობაში: 1) მიღებული შეფასებებიდან არანაკლებ 75% შეადგენს „A“ შეფასებას (91-100 ქულა), ხოლო დანარჩენი - არანაკლებ B შეფასებას (81-90 ქულა); 2) ადგილობრივ/საერთაშორისო რეცენზირებად რეფერირებად ჟურნალში ერთი ნაშრომის გამოქვეყნება (რაც სარეიტინგო სიაში უთანაბრდება პირველ პუნქტს, მაქსიმალური ქულის მინიჭების პრინციპით);
- აკადემიურ პროგრამებზე სტიპენდიანტთა რაოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო მიმართულების და განათლების საფეხურების მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე. გადაწყვეტილება სტიპენდიანტთა შესაძლო რაოდენობისა და სტიპენდიების ოდენობის შესახებ მიიღება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის მიერ;
- პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში, სტიპენდიანტთა ვინაობა განისაზღვრება შემდეგნაირად: აკადემიურ სტიპენდიას მიიღებენ პროფესიული სტუდენტები, რომლებიც სწავლების პირველი 6 თვის განმავლობაში განხორციელებულ განმსაზღვრელი შეფასებისას არ ისარგებლებენ სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასების უფლებით და ბნუ-ს პროფესიული სტუდენტების „კურიკულუმის გარეშე აქტივობებისა და პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების“ შესაბამისად განახორციელებენ აქტივობებს/ღონისძიებებს ბნუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე (წელიწადში არანაკლებ 5 პროფესიული სტუდენტი).

კრედიტების სისტემა

ბნუ-ში დანერგილია კრედიტების გადაცემისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS). ECTS კრედიტები გამოხატავს სწავლის მოცულობას, განსაზღვრული სწავლის შედეგების და მათთან დაკავშირებული დატვირთვის საფუძველზე. 60 ECTS შეესაბამება ერთი აკადემიური წლის ან მისი ეკვივალენტი დროის მონაკვეთის შესაბამის სწავლის შედეგებს და მათთან დაკავშირებულ დატვირთვას, რაც ჩვეულებრივ შედგება რამდენიმე საგანმანათლებლო კომპონენტისგან, რომელთაც კრედიტები ენიჭებათ (სწავლის შედეგების და დატვირთვის საფუძველზე).

საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად:

საბაკალავრო პროგრამები

საზღვაო ნავიგაცია	240 ECTS
საზღვაო ნავიგაცია ინგლისურენოვანი	240 ECTS
გემის მექანიკა	240 ECTS
გემის მექანიკა ინგლისურენოვანი	240 ECTS
ლოგისტიკა	180 ECTS

სამაგისტრო პროგრამა

ლოგისტიკა	120 ECTS

კრედიტების აღიარება

- ბნუ-ში კრედიტების აღიარება ხორციელდება შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის საფუძველზე.
- კრედიტების აღიარება გულისხმობს შესაბამისობის დადგენას სტუდენტის მიერ სხვა უნივერსიტეტში ან სხვა პროგრამის ფარგლებში გავლილ კურსებსა და ახალ პროგრამას შორის.
- იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული სასწავლო კურსი არ არის გათვალისწინებული სტუდენტსი ახალი საგანმანათლებლო პროგრამით, მათი აღიარება შესაძლოა მოხდეს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კრედიტების ფარგლებში.
- კრედიტების აღიარების სისტემა ხელს უწყობს, რომ სტუდენტებს შეინარჩუნონ აკადემიური მიღწევები და გააგრძელონ სწავლა ახალი პირობების გათვალისწინებით.

სტუდენტების შეფასება

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო კომპონენტებისგან, მათი შეფასება მოიცავს კომპონენტს - შუალედურ შეფასებას (max 60 ქულა) და დასკვნით შეფასებას (max 40 ქულა), ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (მითითებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში). დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს (წილადის სახით მიღებული ქულა მთელ რიცხვამდე მრგვალდება დამრგვალების წესის შესაბამისად: 4 და ნაკლები - სიმცირისკენ, 5 და მეტი - მეტობისკენ). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბნუ-ში სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა უშვებს 5 დადებით და 2 უარყოფით შეფასებას.

პროგრამის კომპონენტები	მაქს. 100 ქუკა		შეფასების ფორმები
სასწავლო კომპონენტები: სასწავლო კურსები პრაქტიკა საბაკალავრო ნაშრომი	100	60	შუალედური შეფასება
		40	დასკვნითი შედასება

	შეფასებები		მაქს. 100 ქულა
დადებითი შეფასებები			
1	ფრიადი	A	91 ქულა და მეტი
2	ძალიან კარგი	B	81 - 90 ქულა
3	კარგი	C	71 - 80 ქულა
4	დამაკმაყოფილებელი	D	61 - 70 ქულა
5	საკმარისი	E	51 - 60 ქულა
უარყოფითი შეფასებები			
1	ვერ ჩაბარა	FX	41 - 50 ქულა
2	ჩაიჭრა	F	40 და ნაკლები ქულა

Fx შეფასება ნიშნავს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით იმავე სემესტრში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; Fx შეფასების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში ფორმდება შეფასება F (0 ქულა). შეფასება F ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას პროგრამის კომპონენტი ახლიდან აქვს შესასწავლი. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

GPA

სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე სასწავლო კომპონენტის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი სასწავლო კომპონენტის კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე.

გასათვალისწინებელია, რომ GPA გამოითვლება მხოლოდ იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც სტუდენტმა დადებითი შეფასება (A,B,C,D,E), ანუ GPA–ს FX და F შეფასება არ ითვლება. საშუალო მაჩვენებელი დგინდება შემდეგი სისტემით:

4	A 91-100 ქულა
3	B 81-90 ქულა
2	C 71-80 ქულა
1	D 61-70 ქულა
0.5	E 51-60 ქულა

გამოცდები

გამოცდაზე/დაცვაზე/შეფასებაზე ქცევის წესები

- ბნუ-ს სტუდენტები სემესტრის განმავლობაში გადიან შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე. გამოცდების განრიგს ადგენს შესაბამისი დეკანატი და ამის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ სტუდენტებს.
- სემესტრში სტუდენტი წერს მხოლოდ ერთ შუალედურს - მაქსიმალური ქულაა 20, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა. დასკვნით გამოცდაზე გასვლა სავალდებულოა და დასკვნით გამოცდაზე გასვლის მინიმალური ზღვარია 21 ქულა.
- გამოცდებისთვის გამოყოფილია სემესტრის კონკრეტული პერიოდი: 2 - შუალედური გამოცდების კვირა, 2 კვირა - დასკვნითი და 2 კვირა - დამატებით გამოცდებისთვის.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში ფორმდება შეფასება F (0 ქულა). შეფასება F ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას პროგრამის კომპონენტი ახლიდან აქვს შესასწავლი. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
- შუალედურ, დასკვნით, დამატებით გამოცდებზე და განმსაზღვრელ შეფასებებზე (შემდგომში - გამოცდა) დასაშვებია მხოლოდ ნებადართული პირადი მოხმარების და ჰიგიენის (წყალი, წამლები, ხელსახოცები, კალამი და სხვ.) ნივთებისა და ლექტორის/პროფესიული განათლების მასწავლებელის/საგამოცდო კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრული ნებადართული ცნობარების/სხვ. შემოტანა (უნდა განთავსდეს საგამოცდო მაგიდის ზედაპირზე). დაუშვებელია: გამოცდაზე დაგვიანება; ქურთუკით, ქუდით შემოსვლა; დაწყებული გამოცდის მიტოვება; არანებადართული ნივთების (სასწავლო მასალის/სახელმძღვანელოს, ნებისმიერი სახის ჩანაწერების, მობილური ტელეფონის, ნოუთბუქის, ყურსასმენების და სხვადასხვა ხელსაწყოების) შეტანა, გამოყენების მცდელობა/გამოყენება; გამოცდაზე ქცევის წესების დარღვევა (გადალაპარაკება, აუდიტორიაში სიარული, რაიმე ფორმით დახმარების გაწევა ან/და მიღება, სხვა პირებისთვის ხელის შეშლა, გამოცდის ჩაშლის მცდელობა/ჩაშლა) ან ბნუ-ს შინაგანაწესით და ბნუ–ში მოქმედი ეთიკის კოდექსის, აკადემიური ეთიკის კოდექსის და ქცევის წესების დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა; საგამოცდო/შეფასების ფურცლის დაზიანება (მათ შორის, რაიმე სახის მინაწერის/წარწერის ან გრაფიკული გამოსახულების დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალების შესრულებასთან);
- დაცვაზე დასაშვებია მხოლოდ ნებადართული პირადი მოხმარებისა და ჰიგიენის (წყალი, წამლები, ხელსახოცები და სხვ.) ნივთების, დაცვაზე წარსადგენ ნაშრომთან/ანგარიშთან დაკავშირებული მასალების (სქემები, ნახატები, ცხრილები ან სხვა საილუსტრაციო მასალა) და მოწყობილობების შემოტანა. დაუშვებელია: დაცვაზე დაგვიანება; ქურთუკით, ქუდით შემოსვლა; დაწყებული დაცვის მიტოვება; არანებადართული ნივთების (მობილური ტელეფონის, ყურსასმენების და სხვ.) შეტანა, გამოყენების მცდელობა/გამოყენება; გამოცდაზე ქცევის წესების დარღვევა (გადალაპარაკება, აუდიტორიაში სიარული, რაიმე ფორმით დახმარების გაწევა ან/და მიღება, სხვა პირებისთვის ხელის შეშლა, დაცვის ჩაშლის მცდელობა/ჩაშლა); ბნუ-ს შინაგანაწესით და ბნუ–ში მოქმედი ეთიკის კოდექსის და ქცევის წესების დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა;

- გამოცდაზე/დაცვაზე წესრიგის დარღვევად მიიჩნევა: არანებადართული ნივთების შემოტანა, გამოყენების მცდელობა/გამოყენება; გამოცდაზე/დაცვაზე ქცევის წესების დარღვევად მიჩნეული ქმედება ან ბნუ-ს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსის და ქცევის წესების დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა. გამოცდაზე/დაცვაზე წესრიგის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს ეძლევა გაფრთხილება, ხოლო მიღებული გაფრთხილების მიუხედავად განმეორებით იგივე ან სხვა დარღვევის ჩადენის შემთხვევაში სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი კარგავს გამოცდის/დაცვის დასრულების უფლებას (ფიქსირდება შეფასება 0 ქულა), დგება ახსნა-განმარტებითი ბარათი წესრიგის დამრღვევის სახელისა და გვარის და მის მიერ ჩადენილი ქმედების მითითებით, წესრიგის დამრღვევის მიმართ დაიწყება დისციპლინური წარმოება და იქნება გამოყენებული წინამდებარე შინაგანაწესით გათვალისწინებული სახდელი;
- გამოცდაზე/დაცვაზე ქურთუკით, ქუდით შემოსვლის ან არანებადართული ნივთების შემოტანის შემთხვევაში სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დატოვოს ეს ნივთები მითითებულ განცალკევებულ ადგილას, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მისი ქცევა მიიჩნევა გამოცდაზე ქცევის წესების დარღვევად;
- გამოცდაზე/დაცვაზე დაგვიანების შემთხვევაში სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი კარგავს გამოცდაზე/დაცვაზე შესვლის უფლებას. გამოცდის/დაცვის უნებართოდ მიტოვების ან გამოცდაზე/დაცვაზე წესრიგის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი კარგავს გამოცდის/დაცვის დასრულების უფლებას;
- გამოცდაზე/დაცვაზე არგამოცხადების/დაგვიანების, გამოცდის/დაცვის უნებართვოდ მიტოვების ან გამოცდაზე/დაცვაზე წესრიგის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს არ აქვს სხვა ვადაში ამ გამოცდის/დაცვის დანიშვნისა და ჩატარების მოთხოვნის უფლება;
- საპატიო მიზეზის გამო გამოცდაზე/დაცვაზე არგამოცხადების/დაგვიანების ან გამოცდის/დაცვის მიტოვების შემთხვევები განიხილება ინდივიდუალურად და შეიძლება იყოს მიღებული გადაწყვეტილება სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის სხვა თარიღში ამ გამოცდის/დაცვის დანიშვნის შესახებ, რაც ფორმდება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის განკარგულებით/ბრძანებით;
- საგამოცდო ფურცლის/შეფასების ინსტრუმენტის დაზიანების (მაგ., საგამოცდო ფურცელზე რაიმე სახის მინაწერის/წარწერის ან გრაფიკული გამოსახულების დატანა, რომელიც არ არის დაკავშირებული საგამოცდო დავალებასთან) შემთხვევაში არ ხდება საგამოცდო ნაშრომის განხილვა (ფიქსირდება შეფასება 0 ქულა/ვერ დადასტურდა) და დგება ახსნა-განმარტებითი ბარათი ნაშრომის შეფასებაზე უარის თქმის მიზეზის მითითებით;
- ბნუ–ში გამოცდის/დაცვის დროის ლიმიტია დადგენილი. სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს არ აქვს უფლება თვითნებურად გაზარდოს დადგენილი ლიმიტი ან მოითხოვოს მისთვის ამ ლიმიტის გაზრდა.

მობილობა

საქართველოს კანონმდებლობით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ. მობილობის გამოცხადების შემდგომ, მობილობის მსურველი პირები უნდა დარეგისტრირდნენ ელექტრონულ პორტალზე www.students.emis.ge

ბნუ-ში საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველი სტუდენტი, რომელმაც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებული დადებითი შედეგის საფუძველზე მოიპოვა 2024-2025 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბნუ-ში მობილობით სწავლის გაგრძელების უფლება, რეგისტრაციის მიზნით უნდა გამოცხადდეს ბნუ-ში და წარადგინოს განცხადება და საჭირო დოკუმენტაცია, რაც მოიცავს:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა/ID ბარათი) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე – პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის დედანი);
- 4 ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (CD/DVD დისკზე);
- სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);
- ბაკალავრიატი - სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი / მაგისტრატურა (სამაგისტრო პროგრამის I ნაწილი) - არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და განათლების აღიარების დოკუმენტი (ასლები);
- უსდ-ს მიერ გაცემული (ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული) - ამონაწერი უსდ-ში ჩარიცხვის ბრძანებიდან;
- ცნობა სტუდენტის სტატუსის და სწავლების სემესტრის შესახებ;
- ამონაწერი სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან (არსებობის შემთხვევაში, სტატუსის შეწყვეტის ბრძანების შემთხვევაში აუცილებელია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველის მითითება);
- ამონაწერი სასწავლო ბარათიდან შესწავლილი სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების, შესაბამისი კრედიტების და მიღებული შეფასებების მითითებით;
- საზღვაო დარგის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში - სამედიცინო შემოწმების ფორმა #100/ა (დედანი), გაცემული უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ.
- მხოლოდ მაგისტრანტებისათვის საერთო სამაგისტრო გამოცდის სერთიფიკატი (საერთო სამაგისტრო გამოცდაზე B ტიპის ტესტის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი) სამაგისტრო პროგრამაზე მობილობით გადმოსვლის მსურველები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე და ჩააბარონ შიდა გამოცდა სპეციალობაში (ლოგისტიკის საფუძვლები).
- საბუთების წარდგენის შემდგომ, აპლიკანტი გაივლის გამოცდას ინგლისურ ენაში და სპეციალობაში.

შიდა მობილობა

შიდა მობილობის უფლება აქვს სტუდენტს, რომელიც შესაბამისი წესით ჩაირიცხა და სწავლობს ბნუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე.

შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, რომლის ვადებიც განისაზღვრება რექტორის ბრძანების საფუძველზე.

შიდა მობილობის მსურველმა პირმა, განცხადებით უნდა მიმართოს დეკანატს. შიდა მობილობის განხორციელების პროცესში უნდა შემოწმდეს სტუდენტის მონაცემების შესაბამისობა მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა

ბნუ-ს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები კვლევითი ნაშრომის შესრულებისას ხელმძღვანლობენ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესით.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი

პლაგიატი

ბნუ-ს სწავლის სუბიექტის აკადემიური საქმიანობა მოიცავს სავალდებულო საგანმანათლებლო (პროგრამით გათვალისწინებულ) საქმიანობას და სწავლის სუბიექტის სურვილისამებრ - შემეცნებით/შემოქმედებით/კვლევით საქმიანობას. სწავლის სუბიექტმა უნდა დაიცვას ბნუ-ს ეთიკის კოდექსის, აკადემიური ეთიკის კოდექსის, ბნუ-ში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებების და ქცევის წესების მოთხოვნები და ისარგებლოს ბნუ-ს ინფრასტრუქტურით (კომპიუტერული ტექნიკა, ბიბლიოთეკა და სხვა რესურსები) ბნუ-ს შინაგანაწესში მითითებული წესების დაცვით.

- ბნუ-ში პლაგიატად მიიჩნევა ინფორმაციის წყაროს ადეკვატური (სრული და ზუსტი) მითითების გარეშე საკუთარ ნაშრომში სხვისი იდეების, მონაცემების, ტექსტების, გამოსახულებების, გამონათქვამების ან სხვ. (შემდგომში - ნაშრომის ფრაგმენტები) გადმოტანა: უცვლელად ან ისეთი ცვლილებებით, რომელთა შედეგად უცვლელი რჩება გამოყენებული ნაშრომის ფრაგმენტის არსი;
- ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბებად, ფალსიფიცირებად, მანიპულირებად მიიჩნევა აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის ისეთი დარღვევები, როგორიცაა არარსებულ ინფორმაციის/ მონაცემების/წყაროების მითითება, საკუთარი შეხედულებისამებრ არსებული ინფორმაციის/მონაცემების შეცვლა, არასწორი წყაროს მითითება ან წყაროს აღწერისას მონაცემებით მანიპულირება და სხვ.;
- ბნუ-ში დაუშვებელია:

  პლაგიატი (მათ შორის, თვითპლაგიატი), ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბება, ფალსიფიცირება, მანიპულირება (მათ შორის: არარსებული ინფორმაციის/მონაცემების/წყაროების მითითება, საკუთარი შეხედულებისამებრ არსებული ინფორმაციის/ მონაცემების შეცვლა, არასწორი წყაროს მითითება ან წყაროს აღწერისას მონაცემებით მანიპულირება);

ბნუ-ში შესრულებული ყველა ნაშრომი გადის შემოწმებას ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენებით. სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ შეუზღუდავად მთელი სემესტრის განმავლობაში თავად შეამოწმონ ნაშრომი აღნიშნული პროგრამით, მიიღონ კონსულტაციები და გაიუმჯობესონ შედეგები. აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად, სასწავლო პროცესში ჩაშენებულია ანტიპლაგიატის პროგრამა Turnitin. ამ პროგრამის მეშვეობით მოწმდება ბნუ-ს აკადემიური/ მოწვეული პერსონალის და სტუდენტების ნაშრომები.

გაცვლითი პროგრამები

Erasmus+ არის ევროკავშირის საგრანტო პროგრამა, რომელიც ახორციელებს პროექტებს განათლების, ტრეინინგის, ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებით.

Erasmus+ პროგრამის მიზანია განათლების მოდერნიზება, ცოდნისა და დასაქმების დონის ამაღლება, ასევე, ტრეინინგები და ახალგაზრდებთან მუშაობა.

ბნუ ახორციელებს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებს ,,Erasmus+"-ის ფარგლებში, რაც გულისხმობს ინდივიდუალურ მობილობებს პარტნიორ უნივერსიტეტებში:

სტუდენტთა მობილობა - ბაკალავრიატის და მაგისტრატურისა საფეხურის სტუდენტთა გაცვლა 1 ან 2 სემესტრითკრედიტების დაგროვებით (credit mobility).

„Erasmus+" ICM მობილობის პროგრამის ფარგლებში, საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლაშეუძლიაიმსტუდენტს, რომელიც ირიცხება ბნუ-ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურებზე დააკმაყოფილებს ამ პროგრამაში მონაწილეობისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

მონაწილეობის პირობები

- სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (IELTS- 6.0; TOEFL-78) ან ბნუ-ს მიერ ჩატარებული ინგლისური ენის ინსტიტუციონალური გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი ცნობა;
- ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებს წარმატებით უნდა ქონდეთ დამთავრებული პირველი აკადემიური წელი ბნუ-ში;
- ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტები არ უნდა იყვნენ დამამთავრებელ სემესტრში;

პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ:

- ბაკალავრიატის II, III ან IV კურსის პირველი სემესტრის სტუდენტებს;
- მაგისტრატურის II კურსის სტუდენტებს;

პროგრამაში მონაწილეობა არ შეუძლიათ:

- სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ "F" შეფასება ნიშნების ფურცელში;
- სტუდენტებს, რომლებსაც ერიცხებათ ფინანსური დავალიანება ბნუ-ში;
- არ აკმაყოფილებენ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისათვის ჩარჩო ხელშეკრულებითა და ბნუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმითა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულებით დადგენილ მოთხონებს;
- მათ, ვისაც უკვე მიღებული აქვთ "Erasmus Mundus"-ისან "Erasmus+"-ის გრანტი ანალოგიურ საფეხურზე.

საჭირო დოკუმენტაცია

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ბნუ-ს აქტიურმა სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები ინგლისურ ენაზე:

- საერთაშორისო პასპორტის ასლი;
- შევსებული სააპლიკაციო ფორმა; (BNTU-APPLICATION)
- CV ევროპასის ფორმით (იხილეთ CV-ის ფრომა ბმულზე: EUROPASS CV - Template)
- უცხო ენის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი (IELTS; TOEFL ან ბნუ-ს მიერ ჩატარებული ინგლისური ენის ინსტიტუციონალური გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი ცნობა);
- ნიშნების ფურცელი;
- სამოტივაციო წერილი (როგორ დავწეროთ სამოტივაციო წერილი https://shorturl.at/GUhSR)
- 1 სარეკომენდაციო წერილი ფაკულტეტიდან;
- ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემ(ებ)ის დამადასტურებელი ცნობა (ფორმა 100)

შერჩევის პროცედურა

- წარმოდგენილ სააპლიკაციო დოკუმენტებს განიხილავს ბნუ-ს საკონკურსო კომისია და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ მოხდება შერჩეული კანდიდატების ნომინირება;
- შერჩეული კანდიდატების შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტების მიწოდებას მიმღები უნივერსიტეტისათვის უზრუნველყოფს ბნუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;
- სტუდენტების საბოლო შერჩევა მოხდება მიმღები უნივერსიტეტის მიერ;
- მიმღებ უნივერსიტეტს უფლება აქვს ნომინირებულ სტუდენტს მოსთხოვოს დამატებით შიდა კონკურსში მონაწილეობის მიღება;

დაფინანსება

პროგრამა სრულად აფინანსებს მონაწილის სწავლის, ცხოვრებისა და მგზავრობის ხარჯებს. ყოველთვიური სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრება მიმღები ქვეყნის შესაბამისად: იხილეთ ERASMUS+ სახელმძღვანელო - https://shorturl.at/aL56G

მგზავრობის ხარჯის ანაზღაურება ხდება მშობლიურ და მასპინძელ ქალაქებს შორის არსებული მანძილის შესაბამისი მანძილის გამოსათვლელად გამოიყენეთ გამომთვლელი: https://shorturl.at/2wWGT

შენიშვნა: აღნიშნული სტიპენდიის და მგზავრობის ლიმიტები შეიძლება შეიცვალოს კონკრეტული უნივერსიტეტის ეროვნული რეგულაციების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

საერთაშორისო კრედიტ მობილობა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისთვის. გაცვლითი პროგრამები ხორციელდება საქართველოს და ევროპის (პროგრამის ქვეყნების) უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული საპარტნიორო ხელშეკრულების ფარგლებში. ანუ თუ თქვენ ხართ ბნუ-ს სტუდენტი/აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი, თქვენ შეიგიძლიათ ისარგებლოთ ამ პროგრამით.

ძირითადი მახასიათებლებია:

- მობილობის შესაძლებლობა ყველა საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა);
- მობილობა ყველა მიმართულებაზე;
- სტუდენტებისათვის: 3 დან 12 თვემდე;
- ყველა სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა ისარგებლოს 12 თვემდე სასწავლო მობილობით თითო სასწავლო საფეხურზე;
- Erasmus+ პროგრამა მონაწილე ქვეყნებს ჰყოფს ორ ჯგუფად: პროგრამის ქვეყნები (28 ევროკავშირის წევრი ქვეყანა + თურქეთი, ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტეინი, მაკედონია და სერბეთი) და პარტნიორი ქვეყნები (დანარჩენი მსოფლიო მათ შორის საქართველო).

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

ბნუ-ს ორგანიზებით ტარდება ყოველწლიური სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენცია მიზნად ისახავს საზღვაო მეცნიერებების, ლოგისტიკის, მენეჯმენტის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის თანამედროვე პროცესებისა და გამოწვევების განხილვას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებასა და ურთიერთთანამშრომლობის წახალისებას. კონფერენცია ღიაა ყველა საერთაშორისო და ადგილობრივი უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისთვის.

ბიბლიოთეკა

ბნუ-ს ბიბლიოთეკა:

•უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო და საინფორმაციო საქმიანობის ორგანიზებასა და საბიბლიოთეკო ფონდებით სარგებლობას
•ბნუ-ს ბიბლიოთეკის ფონდი აერთიანებს სახელმძღვანელოებს, სასწავლო-მეთოდური მასალებს, რიდერებსა და სხვა ბეჭდურ და ელექტრონულ მასალას ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე
•დღეისათვის ბნუ-ს საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს 18 828 წიგნად ერთეულს
•ბნუ-ს ბიბლიოთეკა დიგიტალიზებულია და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ონლაინ-პლატფორმაზე.

ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე, კვირის გარდა, შემდეგი განრიგით:

·ორშაბათი-პარასკევი - **09:00–20:00**
·შაბათი - **10:00-15:00**

ბნუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობა:

•ბნუ-ს ბიბლიოთეკა სტუდენტებისთვის, პროფესიული სტუდენტებისთვის და ბნუ-ს პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კვირაში 6 დღე, ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი: 09:00-21:00 სთ (ორშაბათი-პარასკევი, შესვენების გარეშე), შაბათს - 10:00-15:00 სთ;
•ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული რესურსებით სარგებლობა შესაძლებელია როგორც ღია დაშვების სამკითხველო დარბაზში, ისე დადგენილი წესით - სამკითხველო დარბაზს გარეთ;
•ბიბლიოთეკაში შესაძლებელია ბიბლიოთეკის მატერიალური რესურსით (ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, პრინტერით, ასლგადამღების და სკანირების აპარატით) და საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელით სარგებლობა;
•ბნუ-ს ბიბლიოთეკაში დაცული ფონდებით სარგებლობის მსურველი უნდა გაწევრიანდეს ბნუ-ს ბიბლიოთეკაში - გაიაროს რეგისტრაცია. რეგისტრაციისათვის საჭიროა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომლის საფუძველზე ხდება სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მაგისტრანტის გადამოწმება ჩარიცხულთა ბაზაში;
•ბიბლიოთეკით სარგებლობის მსურველი უნდა გაეცნოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს და დაადასტუროს აღნიშნული ხელმოწერით;
•რეგისტრაციის გავლის შემდეგ გაიხსნება მკითხველის ბარათი;
•მკითხველის სახელის, ტელეფონის ნომრის, მისამართის, პირადობის მოწმობის შეცვლის შემთხვევაში პირი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დროულად აცნობოს ბიბლიოთეკის თანამშრომელს.
•ბნუ-ს ბიბლიოთეკის პერსონალი სსსმ/შშმ პირების მომსახურების მიზნით, ითვალისწინებს მათ საჭიროებებს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსით;

წიგნების/სხვა მასალის გატანა და დაბრუნება:

•ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა წიგნები, აუდიო-ვიდეო და ელ. მატარებლებზე (ელ. დისკზე) არსებული მასალები (შემდგომში - მასალები), რომლებიც ბიბლიოთეკაში მხოლოდ ერთ ეგზემპლარად არის დაცული. ასეთი წიგნით/მასალით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში;
•მკითხველს შეუძლია ბიბლიოთეკიდან გაიტანოს ის წიგნები/მასალები, რომლებიც ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია რამდენიმე ეგზემპლარის სახით;

•მკითხველს შეუძლია წიგნიდან საჭირო ადგილების ან/და მთლიანად წიგნის ასლის გადაღება, თუ ასეთი მოქმედება არ გამოიწვევს წიგნის დაზიანებას ან საავტორო უფლებების დარღვევას;
•სახელმძღვანელოები, ჟურნალები, წიგნები და სხვ. მასალები, რომლებიც სასწავლო კურსის განმახორციელებლის წინასწარი განცხადების შესაბამისად საჭიროა ამა თუ იმ ლექციის/პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად, ბიბლიოთეკიდან შეიძლება გატანილ იქნას მხოლოდ 24 სთ-ის ვადით;
•ბიბლიოთეკიდან წიგნები/მასალები გაიცემა ერთი კვირის ვადით;
•გატანილი წიგნის/მასალის დაბრუნების ვადის დადგომისთანავე (ერთ კვირაში), მკითხველი ვალდებულია გატანილი წიგნი/ მასალა დაუბრუნოს ბიბლიოთეკას;
•საჭიროების შემთხვევაში, მკითხველს შეუძლია წიგნის/მასალის განმეორებით გატანა ერთი კვირის ვადით იმ შემთხვევაში, თუ წიგნზე/მასალაზე არ შემოსულა სხვა განაცხადი;
•თუ მკითხველი ვერ აბრუნებს წიგნს/მასალას ერთი კვირის გასვლის შემდეგ, იგი ვალდებულია შეატყობინოს ბიბლიოთეკას აღნიშნულის შესახებ და ახსნას მიზეზები;
•ბიბლიოთეკა უფლებამოსილია თვითონ უზრუნველყოფს წიგნის/მასალის დაბრუნება, მიმართოს ბნუ-ს ადმინისტრაციას შესაბამისი ღონისძიების გატარების ან ჯარიმის დაწესების მიზნით (წიგნის/მასალის დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში);
•ბიბლიოთეკარს შეუძლია მოითხოვოს ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნის/მასალის ვადამდე დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია გატანილი წიგნი/მასალა დააბრუნოს შეტყობინებიდან 24 საათის განმავლობაში. ბიბლიოთეკის აღნიშნული მოთხოვნა უნდა იყოს არგუმენტირებული და დროულად იყოს ცნობილი მკითხველისთვის.

გატანილი წიგნის/მასალის დაკარგვა:

•გატანილი წიგნის/მასალის დაკარგვის შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია მიაწოდოს ბიბლიოთეკას დაკარგული წიგნის/მასალის ანალოგი ან გადაიხადოს ჯარიმა წიგნის/მასალის ღირებულების ოდენობით;
•ბიბლიოთეკის თანამშრომელს აქვს უფლება არ გაატანოს საბიბლიოთეკო მასალები იმ პირებს, რომლებიც შემჩნეულნი არიან ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების დარღვევაში. გატანილი წიგნების/მასალების დაბრუნების ვადის დარღვევაში, წიგნების/მასალების დაზიანებაში/განადგურებაში ან დაკარგვაში.

წიგნებთან/მასალებთან მოპყრობის წესები:

•დაუშვებელია წიგნის გვერდის გადაკეცვა;
•დაუშვებელია დაზიანებული ფურცლების/ყდის დაწებება (დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში მიმართეთ ბიბლიოთეკარს);
•დაუშვებელია წიგნში/ნაბეჭდ მასალების გვერდებზე შენიშვნების, კომენტარის, ხაზგასმის, მინაწერების და სხვ. გაკეთება;
•დაუშვებელია სანიშნის მაგივრად ისეთი საგნების გამოყენება, რომლებიც დააზიანებენ წიგნს;
•·დაუშვებელია წიგნის გაუხსნელი გვერდების დამოუკიდებლად გახსნა (ამ შემთხვევაში მიმართეთ ბიბლიოთეკის თანამშრომელს);
•წიგნის/მასალის მიღებისას მაშინვე შეამოწმეთ წიგნის/მასალის ვარგისიანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაგეკისრებათ წიგნის/მასალის დაზიანების ჯარიმის გადახდა;
•უხეში მოპყრობისას ან დაზიანების შემთხვევაში (გვერდების ამოხევა, დაზიანება და სხვ.) მკითხველი აანაზღაურებს დაზიანებული/განადგურებული წიგნის საფასურს (გადაიხდის ჯარიმას წიგნის ღირებულების ოდენობით) და ვეღარ ისარგებლებს ბნუ-ს ბიბლიოთეკით;
•დაუშვებელია ელ.დისკების დაგდება, კომპიუტერში დატოვება, დისკებზე წარწერების გაკეთება;

•ელ.დისკის მიღებისას შეამოწმეთ დისკი და გაითვალისწინეთ, რომ ბიბლიოთეკაში დაბრუნებული ელ.დისკი, ასევე, შემოწმდება. დისკის დაზიანების შემთხვევაში მკითხველი გადაიხდის ჯარიმას დისკზე ჩაწერილი მასალის ღირებულებისო დენობით;
•დაუშვებელია ბიბლიოთეკაში ისეთი მასალის შეტანა, რომელმაცშ ეიძლება დააზიანოს საბიბლიოთეკო ფონდი.

მკითხველის ვალდებულებაა:

•დაიცვას სიჩუმე, საზოგადოებრივი წესრიგი, ქცევისა და ჰიგიენური ნორმები;
•დაათვალიეროს წიგნი/მასალა მიღებისას დადეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში აცნობოს ბიბლიოთეკის თანამშრომელს;
•გაუფრთხილდეს ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს.

ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები:

•სავალდებულოა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში წესრიგის დაცვა;
•წიგნის/მასალის გამოყენების შემდეგ დაუშვებელია მისი თვითნებურად თაროზე განთავსება, წიგნი/მასალა უნდა გადაეცეს ბიბლიოთეკის თანამშრომელს;
•ყველა წარმოქმნილი პრობლემის გადასაწყვეტად მიმართოს ბიბლიოთეკის თანამშრომელს;
•სამკითხველო დარბაზში ნებადართულია მხოლოდ ბოთლში ჩამოსხმული წყლის შეტანა.

ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში აკრძალულია:

•მოწევა, ხმაური, საუბარი, სამკითხველო დარბაზში ზედმეტი გადაადგილება და სხვ.;
•მობილური ტელეფონის გამოყენება;
•წიგნების/მასალების დამალვა, მოპარვა, დაზიანება და არსათანადოდ მოპყრობა (ამ შემთხვევაში მკითხველი გადაიხდის ჯარიმას, რომლის ოდენობას განსაზღვრავს ბნუ-ს ადმინისტრაცია მიყენებული ზიანის გათვალისწინებით. ასევე, დაჯარიმებულ პირს ჩამოერთმევა ბნუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება).

ზემოთ მითითებული წესების შეუსრულებლობა გამოიწვევს ბიბლიოთეკის წევრობის გაუქმებას.

სტუდენტთა / პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა

სტუნდეტთა თვითმმართველობა არის ბნუ-ს შემადგნელობაში შექმნილი სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანო, რომელიც აერთიანებს ბნუ-ს სტუდენტებს/პროფესიულ სტუდენტებს, არის ბნუ-ს სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო და ბნუ-ს მართვაში და გადაწყვეტილებების მიღებაში სტუდენტთა მონაწილეობას, სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების დაცვას, ბნუ-ს მიერ გამართულ ღონისძიებებში ყველა სტუდენტისთვის თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობას, სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერას, პიროვნული პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობას, წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებაში დახმარებას. თვითმმართველობის წევრობა არის ნებაყოფლობითით და თვითმმართველობის წევრები ირჩევიან ორი წლის ვადით არჩევნების გზით.

სტუდენტური კლუბები

ბნუ აქტიურად ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამის გარეთ არსებული აქტივობების ორგანიზებასა და დაფინანსებაში, მუდმივად ზრუნავს სპორტისა და კულტურის პოპულარიზაციაზე, სტუდენტებსა და ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, უზრუნველყოფს სტუდენტ-სპორტსმენთა მოზიდვასა და ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენას, მათ მონაწილეობას მსოფლიო და ეროვნულ უნივერსიადებში უნივერსიტეტის სახელით, ბნუ-ს სტუდენტები არიან აჭარის რეგიონალური, სტუდენტური თეატრალური დასის წევრები. ბნუ-ში ფუნქციონირებს ინტელექტუალური კლუბი "რა? სად? როდის?", სპორტული კლუბები (ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი მაგიდის ჩოგბურთი, აღმოსავლური ორთაბრძოლები) და უნივერსიტეტის ჯაზ-ბენდი. ბნუ-ში ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კაფეტერია.

კარიერული განვითარება

კარიერის მართვისა და დასაქმების მიმართულებით, სტუდენტური სერვისების სამსახური ბნუ-ს კურსდამთავრებულებს უწყვეტი პროფესიული განვითარების მიღების შესაძლებლობას სთავაზობს; ხელს უწყობს ბნუ-ს სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების დასაქმებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებას და პრაქტიკის გავლას ბნუ-ს პარტნიორი პოტენციური დამსაქმებლების ბაზაზე/გემებზე. ბნუ-ს გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები და ქვემორე ხელშეკრულებები დამსაქმებლებთან, ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობისა და სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმებისათვის. ბნუ რეგულარულად ატარებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევას მათ კარიერულ, პიროვნულ და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით.

ბნუ-ში არსებული კარიერული მხარდაჭერის სერვისის ფარგლებში ხდება, საინფორმაციო ღონისძიებები პროფორიენტაციას, დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით; შესაბამისად უზრუნველყოფილია პოტენციურ დამსაქმებლებზე ინფორმაციის მოძიება, მათთან თანამშრომლობის მიზნით; დამსაქმებელი რეგულარულად არის ჩართული საგანმანათებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესში. ეს არის ყველა საგანამანათლებლო პროგრამის შექმნის ერთ-ერთი უმთავრესი ციკლის ნაწილი, რადგან ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის სწავლის შედეგები, უნარები და კომპეტენციები ორიენტირებულია ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. ბნუ-ში შემუშავებულია ყველა საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომლებშიც სხვა საჭირო ინფორმაციასთან ერთად გაწერილია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები სემესტრების მიხედვით, რაც იძლევა საშუალებას დამსაქმებელმა მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია თუ ორგანიზაციის/კომპანიის რომელ სტრუქტურულ ერთეულში მიიღოს სტაჟირებაზე და/ან დაასაქმოს სტუდენტი/კურსდამთავრებული დამსაქმებელმა.

ბნუ ხელს უწყობს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების პროფორიენტაციას, რეალურ სამუშაო გარემოში მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-სრულყოფის ხელშეწყობას, ბნუ-ს კურსდამთავრებულთა დასაქმებას; ასევე, ბნუ-ს სწავლების სუბიექტთათვის საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული ღონისძიებების ორგანიზებასა და ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში მათ ჩართულობას.

დასაქმება

მეზღვაურებისთვის სხვადასხვა პოზიციებზე არსებულ ვაკანსიები შეგიძლიათ მოიძიოთ ბმულებზე:

- ქართველი მეზღვაურების ფეისბუქ ჯგუფი, სადაც მეზღვაურები ერთმანეთს უზიარებენს საინტერესო ინფორმაციას, მათ შორის დასაქმების შესაძლებლობებზე;
- საქართველოში მეზღვაურთა მხარდაჭერისა და დასაქმების ხელშეწყობის ვებ-პორტალი, რომელიც მეზღვაურებს გაუადვილებს სასურველი ვაკანსიების მოძიებას და მისცემს შესაძლებლობას პირდაპირ კომუნიკაციაზე იყვნენ დამსაქმებლებთან. თავის მხრივ, დამსაქმებლები ერთიან ონლაინ პლატფორმაზე განათავსებენ ვაკანსიებს და უფრო მარტივად მოიძიებენ სასურველი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე კადრებს.

აკადემიური კალენდარი:

ბაკალავრიატი

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი

2025-2026 სასწავლო წელი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გეგმა-კალენდარი

წელი	2025																		2026								
სემესტრი	შემოდგომის																										
დღეები	სექტემბერი					ოქტომბერი				ნოემბერი					დეკემბერი				იანვარი					თებერვალი			
ორშაბათი	1	8	15	22	29	6	13	20	27		3	10	17	24	1	8	15	22	29	5	12	19	26	2	9	16	23
სამშაბათი	2	9	16	23	30	7	14	21	28		4	11	18	25	2	9	16	23	30	6	13	20	27	3	10	17	24
ოთხშაბათი	3	10	17	24	1	8	15	22	29		5	12	19	26	3	10	17	24	31	7	14	21	28	4	11	18	25
ხუთშაბათი	4	11	18	25	2	9	16	23	30		6	13	20	27	4	11	18	25	1	8	15	22	29	5	12	19	26
პარასკევი	5	12	19	26	3	10	17	24	31		7	14	21	28	5	12	19	26	2	9	16	23	30	6	13	20	27
შაბათი	6	13	20	27	4	11	18	25		1	8	15	22	29	6	13	20	27	3	10	17	24	31	7	14	21	28
კვირა	7	14	21	28	5	12	19	26		2	9	16	23	30	7	14	21	28	4	11	18	25	1	8	15	22	1
სემესტრის კვირა			I	II	III	IV	V	VI	VII		VIII	IX	X	XI	XII	XIII	XIV	XV	XVI		XVII	XVIII	XIX					

I, III, V, VII სემესტრი = 19კვირა

წელი	2026																										
სემესტრი	გაზაფხულის																										
დღეები	მარტი					აპრილი				მაისი					ივნისი				ივლისი					აგვისტო			
ორშაბათი	2	9	16	23	30	6	13	20	27		4	11	18	25	1	8	15	22	29	6	13	20	27	3	10	17	24
სამშაბათი	3	10	17	24	31	7	14	21	28		5	12	19	26	2	9	16	23	30	7	14	21	28	4	11	18	25
ოთხშაბათი	4	11	18	25	1	8	15	22	29		6	13	20	27	3	10	17	24	1	8	15	22	29	5	12	19	26
ხუთშაბათი	5	12	19	26	2	9	16	23	30		7	14	21	28	4	11	18	25	2	9	16	23	30	6	13	20	27
პარასკევი	6	13	20	27	3	10	17	24		1	8	15	22	20	5	12	19	26	3	10	17	24	31	7	14	21	28
შაბათი	7	14	21	28	4	11	18	25		2	9	16	23	30	6	13	20	27	4	11	18	25	1	8	15	22	29
კვირა	8	15	22	29	5	12	19	26		3	10	17	24	31	7	14	21	28	5	12	19	26	2	9	16	23	30
სემესტრის კვირა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX		X	XI	XII	XIII	XIV	XV	XVI	XVII	XVIII	XIX	XX	XXI	XXII	XXIII			

II, IV,VI,VIII სემესტრი=23კვირა

2025-2026 სასწავლო წლის უქმე დღეები და არდადეგები	სვეტიცხოვლობა	14 ოქტომბერი	დედის დღე	3 მარტი
	გიორგობა	23 ნოემბერი	ქალთა საერთაშორისო დღე	8 მარტი
	ახალი წელი	1-2 იანვარი	დამოუკიდებლობის აღდგენის დღე	9 აპრილი
	შობა	7 იანვარი	აღდგომა	12 აპრილი
	ნათლისღება	19 იანვარი	ფაშიზმზე გამარჯვების დღე	9 მაისი
			წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე	12 მაისი
			ოჯახის სიწმინდის და მშობლების პატივისცემის დღე	17 მაისი
			საქართველოს დამოუკიდებლობის დღე	26 მაისი
	საშობაო არდადეგები	1 იანვარი-6 იანვარი	სააღდგომო არდადეგები	10 აპრილი-13 აპრილი

სასწავლო პროცესი	შუალედური გამოცდები	დასკვნითი გამოცდა	არდადეგები	უქმე/დასვენების დღეები

აკადემიური კალენდარი:

მაგისტრატურა

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

2025-2026 სასწავლო წელი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გეგმა-კალენდარი

წელი	2025																												
სემესტრი	შემოდგომის																												
დღეები	სექტემბერი					ოქტომბერი					ნოემბერი				დეკემბერი				იანვარი					თებერვალი			
ორშაბათი	1	8	15	22	29	6	13	20	27		3	10	17	24	1	8	15	22	29	5	12	19	26	2	9	16	23
სამშაბათი	2	9	16	23	30	7	14	21	28		4	11	18	25	2	9	16	23	30	6	13	20	27	3	10	17	24
ოთხშაბათი	3	10	17	24	1	8	15	22	29		5	12	19	26	3	10	17	24	31	7	14	21	28	4	11	18	25
ხუთშაბათი	4	11	18	25	2	9	16	23	30		6	13	20	27	4	11	18	25	1	8	15	22	29	5	12	19	26
პარასკევი	5	12	19	26	3	10	17	24	31		7	14	21	28	5	12	19	26	2	9	16	23	30	6	13	20	27
შაბათი	6	13	20	27	4	11	18	25		1	8	15	22	29	6	13	20	27	3	10	17	24	31	7	14	21	28
კვირა	7	14	21	28	5	12	19	26		2	9	16	23	30	7	14	21	28	4	11	18	25	1	8	15	22	1
სემესტრის კვირა					I	II	III	IV		V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	XIII	XIV		XV	XVI	XVII	XVIII	XIX		

I, III, V, VII სემესტრი = 19 კვირა

წელი	2026																												
სემესტრი	გაზაფხულის																												
დღეები	მარტი					აპრილი					მაისი				ივნისი				ივლისი					აგვისტო			
ორშაბათი	2	9	16	23	30	6	13	20	27		4	11	18	25	1	8	15	22	29	6	13	20	27	3	10	17	24
სამშაბათი	3	10	17	24	31	7	14	21	28		5	12	19	26	2	9	16	23	30	7	14	21	28	4	11	18	25
ოთხშაბათი	4	11	18	25	1	8	15	22	29		6	13	20	27	3	10	17	24	1	8	15	22	29	5	12	19	26
ხუთშაბათი	5	12	19	26	2	9	16	23	30		7	14	21	28	4	11	18	25	2	9	16	23	30	6	13	20	27
პარასკევი	6	13	20	27	3	10	17	24		1	8	15	22	20	5	12	19	26	3	10	17	24	31	7	14	21	28
შაბათი	7	14	21	28	4	11	18	25		2	9	16	23	30	6	13	20	27	4	11	18	25	1	8	15	22	29
კვირა	8	15	22	29	5	12	19	26		3	10	17	24	31	7	14	21	28	5	12	19	26	2	9	16	23	30
სემესტრის კვირა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		IX	X	XI	XII	XIII	XIV	XV	XVI	XVII	XVIII	XIX	XX	XXI	XXII	XXIII			

II, IV,VI,VIII სემესტრი=23 კვირა

2025-2026 სასწავლო წლის უქმე დღეები და არდადეგები	სვეტიცხოვლობა	14 ოქტომბერი	დედის დღე	3 მარტი
	გიორგობა	23 ნოემბერი	ქალთა საერთაშორისო დღე	8 მარტი
	ახალი წელი	1-2 იანვარი	დამოუკიდებლობის აღდგენის დღე	9 აპრილი
	შობა	7 იანვარი	აღდგომა	12 აპრილი
	ნათლისღება	19 იანვარი	ფაშიზმზე გამარჯვების დღე	9 მაისი
			წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე	12 მაისი
			ოჯახის სიწმინდის და მშობლების პატივისცემის დღე	17 მაისი
			საქართველოს დამოუკიდებლობის დღე	26 მაისი
	საშობაო არდადეგები	1 იანვარი-6 იანვარი	სააღდგომო არდადეგები	10 აპრილი-13 აპრილი

სასწავლო პროცესი	შუალედური გამოცდები	დასკვნითი გამოცდა	არდადეგები	უქმე/დასვენების დღეები

ბიგბენ

მე და შენ პლიუს გემი უდრის ზღვას
მე გაჩუქებ მონატრებას
შენ კი გამატან ზურგის ქარს
2x - გზები, წყლები ზღვები წინ
უკან ნაპირი და მზე
განშორების მონატრებას
ამ სიმღერით შევივსებ
2x - პა პა პარა პამპარა ზღვა
პა პა პარა პამპარა ჰე
ბეენსეუს ავირჩევ და
წარმატებას მივაღწევ
მე, შენ და მშვიდი ზღვა
ოცნება რა გვინდა სხვა
ჰორიზონტს რო გავცდები
ვიცი მოგენატრები
და როცა ტალღებია წინ
უკან ნაპირი და მზე
განშორების მონატრებას
ამ სიმღერით შევივსებ
8x - პა პა პარა პამპარა ზღვა
პამ პამ პარა პამპარა ჰე
ბეენსეუ-ს ავირჩევ და
წარმატებას მივაღწევ

ბათუმის
ნავიგაციის
უნივერსიტეტი

ბათუმი, თამარ მეფის გამზირი 38

+(995) 514408840

www.bnu.edu.ge

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი - BATUMI NAVIGATION UNIVERSITY

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი - BATUMI NAVIGATION UNIVERSITY

bn_university_140

Bnu_uni